პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტისთვის განკუთვნილი ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის ჯანმრთელობის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს „საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტისთვის განკუთვნილი ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის ჯანმრთელობის წესი“, დანართებთან ერთად.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტისთვის განკუთვნილი ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის ჯანმრთელობის წესი

თავი I

მიზანი, რეგულირების სფერო და განმარტებები

მუხლი 1. მიზანი და რეგულირების სფერო

„საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტისთვის განკუთვნილი ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის ჯანმრთელობის წესი“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ამ წესის დანართით N1 ,,ცხოველთა სახეობები“ განსაზღვრული ჩლიქოსანი ცხოველების საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტის დროს ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ მოთხოვნებს.

მუხლი 2. განმარტებები

ამ წესის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **სხვა ქვეყანა** - საქართველოს გარდა სხვა ქვეყანა და მისი ტერიტორიები;

ბ) **ავტორიზებული ქვეყანა** - სხვა ქვეყანა ან სხვა ქვეყნის ნაწილი, საიდანაც ნებადართულია საქართველოში ამ წესის დანართი N1-ით განსაზღვრული ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველების იმპორტი ამ წესის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად;

გ) **სახელმწიფო ვეტერინარი** - სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილი ვეტერინარი, რომელიც ატარებს ცოცხალი ცხოველების ჯანმრთელობის შემოწმებას და ახორციელებს ოფიციალურ სერტიფიცირებას;

დ) **ჩლიქოსნები** - ამ წესის დანართი N1- ით განსაზღვრული ცხოველები;

ე) **აღიარებული ორგანიზაცია, ინსტიტუტი ან ცენტრი** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული ნებისმიერი მუდმივი, გეოგრაფიულად შემოსაზღვრული ადგილი, სადაც ცხოველთა ერთი ან მეტი სახეობა ჩვეულებრივ ინახება ან შენდება, კომერციული მიზნებისთვის ან მის გარეშე და აგრეთვე მხოლოდ ერთი ან მეტი შემდეგი მიზნისათვის:

ე.ა) ცხოველთა ჩვენება და საზოგადოების განათლება;

ე.ბ) სახეობების კონსერვაცია;

ე.გ) ფუნდამენტური ან გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები და ამ კვლევების მიზნებიდან გამომდინარე ცხოველების მოშენება;

თავი II

ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნები საქართველოში ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტისთვის და ტრანზიტისათვის

მუხლი 3. ავტორიზებული ქვეყანა

1. ცოცხალი ჩლიქოსნების საქართველოში იმპორტი და ტრანზიტი ნებადართულია მხოლოდ სხვა ქვეყნიდან, რომელიც შესულია ამ წესის შესაბამისად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ განსაზღვრულ სიაში.

2. ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ქვეყნიდან ამ წესის დანართი N1-ით განსაზღვრულ ცხოველებზე წარმოდგენილი გარანტიების გათვალისწინებით, შესაძლებელია მიღებული იქნეს გადაწყვეტილება, რომ ავტორიზაცია ვრცელდება ავტორიზებული ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე ან ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე. აღნიშნული მიზნით და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმაზე, თუ როგორ იყენებს და ნერგავს ავტორიზებული ქვეყანა ამ სტანდარტებს, კერძოდ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში რეგიონალიზაციის პრინციპი და მისი სანიტარული მოთხოვნები სხვა ქვეყნიდან იმპორტისას.

3. ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტის ან ტრანზიტის ავტორიზაცია, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით წარმოდგენილი ცხოველთა ჯანმრთელობის სპეციფიკური მდგომარეობის მიხედვით, სააგენტოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია შეჩერებული ან გაუქმებული იქნას თუ ავტორიზებულ ქვეყანაში ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ამართლებს ამ შეჩერებას ან გაუქმებას.

მუხლი 4. ავტორიზებული ქვეყნების სიის მომზადება

1. ავტორიზებული ქვეყნების სიის შედგენის ან შესწორების დროს უნდა იქნას გათვალისწინებული შემდეგი:

ა) სხვა ქვეყანაში ჩლიქოსნების, სხვა შინაური და გარეული ცხოველების ჯანმრთელობის სტატუსი, კერძოდ ცხოველთა ეგზოტიკური დაავადებები, ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის ნებისმიერი ასპექტი და ასევე, გარემოს მდგომარეობა, რამაც შესაძლებელია რისკი შეუქმნას საქართველოს გარემოსა და ჯანმრთელობის ზოგად სტატუსს;

ბ) ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კეთილდღეობის შესახებ სხვა ქვეყნის კანონმდებლობა;

გ) კომპეტენტური ორგანოს სტრუქტურა და მისი ინსპექტირების სერვისი, აღნიშნული სერვისების სიმძლავრე, ზედამხედველობა, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან და მათ ხელთ არსებული საშუალებები, მათ შორის პერსონალი და ლაბორატორიული შესაძლებლობები, ეროვნული კანონმდებლობის ეფექტური გამოყენებისთვის;

დ) სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გარანტიის გაცემა ქვეყანაში გამოყენებულ შესაბამის ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული წესების შესაბამისობაზე ან ეკვივალენტურობაზე;

ე) სხვა ქვეყანის, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) წევრობა და მის ტერიტორიაზე ინფექციების ან ცხოველთა გადამდები (კონტაგიოზური) დაავადებების, განსაკუთრებით ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) სიით განსაზღვრული დაავადებების, არსებობის შესახებ სწრაფი და მუდმივი ინფორმაციის მიწოდება;

ვ) სხვა ქვეყნის მიერ საქართველოსთვის გარანტიის მიცემა პირდაპირ ინფორმირებისათვის:

ვ.ა) ამ წესის დანართით N2 ,,ამ წესის მე-4 მუხლის ,,ვ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადებები და ზოგადი საბაზისო კრიტერიუმები ამ წესის მე-7 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაავადებისგან თავისუფალ ტერიტორიად მიჩნევისათვის“ განსაზღვრული დაავადებების გამოვლენის დადასტურებაზე 24 საათის განმავლობაში და ამ დაავადებებზე ვაქცინაციის პოლიტიკაში ნებისმიერ ცვლილებაზე;

ვ.ბ) შესაბამის პერიოდში, ჩლიქოსანი ცხოველების ჯანმრთელობის ეროვნული წესების ნებისმიერ ცვლილებაზე, განსაკუთრებით იმპორტთან დაკავშირებით;

ვ.გ) მის ტერიტორიაზე ცხოველთა ჯანმრთელობის სტატუსზე, რეგულარული ინტერვალით;

ზ) სხვა ქვეყნიდან ცოცხალი ცხოველების ადრინდელი იმპორტის ნებისმიერი გამოცდილება და იმპორტირებისას ჩატარებული კონტროლის შედეგები;

თ) სხვა ქვეყანაში ჩატარებული ინსპექტირების შედეგები, კერძოდ სააგენტოს შეფასების შედეგი ან, სააგენტოს მიერ წარდგენილი ანგარიში, მათ მიერ ჩატარებული ინსპექტირების შესახებ;

ი) სხვა ქვეყანაში მოქმედი წესები ინფექციების ან ცხოველთა გადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის შესახებ და მათი დანერგვა, მათ შორის სხვა ქვეყნიდან იმპორტირების წესები.

მუხლი 5. სააგენტოს მიერ ავტორიზებული ქვეყნების სიის გამოქვეყნება

სააგენტომ უნდა უზრუნველყოს ამ წესის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შესწორებული, განახლებული ვერსიების საჯაროობა. აღნიშნული სიები შესაძლებელია კომბინირებული იქნას ცხოველთა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ სხვა სიებთან და მოიცავდეს ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატების ნიმუშებს.

მუხლი 6. ცოცხალი ჩლიქოსნების ჯანმრთელობის სპეციფიკური მოთხოვნები ავტორიზებული ქვეყნიდან იმპორტისა და ტრანზიტისათვის

1. ავტორიზებული ქვეყნიდან ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტისა და ტრანზიტისათვის ჯანმრთელობის სპეციფიკური მოთხოვნების განსაზღვრისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს:

ა) ცხოველთა სახეობები;

ბ) ცხოველთა ასაკი და სქესი;

გ) ცხოველის დანიშნულების ადგილი ან გამოყენების მიზანი;

დ) იმპორტირების შემდეგ განსახორციელებელი ღონისძიებები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცხოველთა ჯანმრთელობის სპეციფიკური მოთხოვნები უნდა ეფუძნებოდეს დაავადებების (რომელთა მიმართაც ცხოველები არიან ამთვისებლები) შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. როდესაც შესაბამისი სხვა ქვეყნის მიერ გათვალისწინებული ჯანმრთელობის გარანტიების ექვივალენტობა ოფიციალურად აღიარებულია ევროკავშირის მიერ, ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ სპეციფიკური მოთხოვნები, შესაძლოა ეფუძნებოდეს აღნიშნულ გარანტიებს.

მუხლი 7. ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტთან დაკავშირებული გარანტიები

1. ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტი დაიშვება თუ ავტორიზებული ქვეყანა წარმოადგენს შემდეგ გარანტიებს:

ა) ცხოველი უნდა იყოს დაავადებისგან თავისუფალი ტერიტორიიდან, ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრული საბაზისო ზოგადი კრიტერიუმების გათვალისწინებით და იმ ცხოველების შემოყვანა, რომლებიც ვაქცინირებულია ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრულ დაავადების საწინააღმდეგოდ, უნდა იქნას აკრძალული;

ბ) ცხოველთა ჯანმრთელობა უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

გ) საქართველოში გამოგზავნამდე, სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე, ცხოველები უნდა იქნენ განთავსებული კარანტინში ავტორიზებული ქვეყნის ტეროტორიაზე ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში;

დ) საქართველოში გამოგზავნამდე, ცხოველებს უნდა ჰქონდეთ გავლილი სახელმწიფო ვეტერინარის შემოწმება, რათა გარანტირებული იქნას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და დადასტურდეს, რომ ტრანსპორტირებისას დაცულია პირობები, რომელიც უკავშირდება საკვებთან და წყალთან წვდომას;

ე) ცხოველებს თან უნდა ახლდეთ ამ წესის მე-11 მუხლით განსაზღვრული ვეტერინარული სერტიფიკატი (მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით);

2. საქართველოში შემოსვლისას ცხოველები ექვემდებარება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში ვეტერინარულ კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუხლი 8. ავტორიზებული ქვეყნის მიერ გარანტიებთან დაკავშირებული გამონაკლისები

ამ წესის მე-6 და მე-7 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების გაუთვალისწინებლად, სპეციფიკური მოთხოვნები, მათ შორის ვეტერინარული

სერტიფიკატის ნიმუში, შესაძლებელია განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ავტორიზებული ქვეყნიდან ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტისათვის ან ტრანზიტისთვის, თუ ეს ცხოველები:

ა) განკუთვნილია მხოლოდ საძოვრებზე გაშვებისთვის ან გამწევ ძალად გამოყენებისთვის, დროებით, ქვეყნის საზღვრების სიახლოვეს;

ბ) განკუთვნილია სპორტული ღონისძიებების, ცირკის, შოუსა და გამოფენისათვის, თუმცა თავად ცხოველები არ არის განკუთვნილი კომერციული ტრანზაქციისათვის;

გ) განკუთვნილია ზოოპარკის, გასართობი პარკის, ექსპერიმენტული ლაბორატორიის ან ამ წესის მე-2 მუხლის ,,ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აღიარებული ორგანიზაციის, ინსტიტუტის ან ცენტრისთვის;

დ) განკუთვნილია საქართველოში მხოლოდ ტრანზიტისთვის საბაჟო ინსპექციის პუნქტის გავლით, საბაჟო და სახელმწიფო ვეტერინარული კონტროლის ქვეშ. ამასთან, ტრანზიტი ხორციელდება შეუჩერებლად, გარდა ცხოველთა კეთილდღეობის საჭიროებიდან გამომდინარე;

ე) თან ახლავს მფლობელს, როგორც შინაური ბინადარი ცხოველი;

ვ) ან წარმოდგენილია საბაჟო ინსპექციის პუნქტზე, მას შემდეგ რაც დატოვა საქართველო ამ პუნქტის ,,ა“ ,,ბ“ და ,,ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე მიზნით 30 დღის განმავლობაში;

ზ) მიეკუთვნება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს.

მუხლი 9. ამ წესის მე-7 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებული გამონაკლისი რომელიც ეხება იმპორტსა და ტრანზიტს ავტორიზებული ქვეყნიდან, სადაც ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრული დაავადებებია ან/და ტარდება მათი საწინააღმდეგო ვაქცინაცია

1. ამ წესის მე-7 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტიდან გამონაკლისის დაშვებით შესაძლებელია დადგინდეს პირობები ავტორიზებული ქვეყნიდან, სადაც არის ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრული დაავადებები ან ტარდება ამ დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გამონაკლისის დაშვება უნდა მოხდეს თითოეული ქვეყნის მიხედვით.

მუხლი 10. ამ წესის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებული გამონაკლისი, რომელიც უკავშირდება ავტორიზებული ქვეყნიდან (საიდანაც იმპორტი ან ტრანზიტი აკრძალული ან შეჩერებულია) იმპორტს ან ტრანზიტს

1. ამ წესის მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტიდან გამონაკლისის დაშვებით შესაძლებელია განისაზღვროს დრო, რომლის შემდეგ ავტორიზებული ქვეყნიდან ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტი ან ტრანზიტი შესაძლებელია განახლდეს იმპორტის ან ტრანზიტის შეჩერების ან აკრძალვის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის ნებისმიერი ცვლილების გამო, ნებისმიერი დამატებითი პირობებით, რომელიც უნდა შესრულდეს ასეთი განახლების შემდეგ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხოველების იმპორტი ან ტრანზიტის განახლებისას უნდა იქნას გათვალისწინებული:

ა) საერთაშორისო სტანდარტები;

ბ) ავტორიზებულ ქვეყანაში ან რეგიონში ამ წესის დანართი N2-ით გათვალისწინებული ერთ-ერთი დაავადების აფეთქება ან დაავადების ეპიზოოტიურად დაკავშირებული რამოდენიმე აფეთქება გეოგრაფიულად შემოსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში;

გ) აფეთქების ან აფეთქებების წარმატებით აღმოფხვრა შეზღუდულ დროში.

მუხლი 11. ვეტერინარული სერტიფიკატები

1. ამ წესის დანართი N3-ის მოთხოვნების შესაბამისი ვეტერინარული სერტიფიკატი უნდა იქნეს წარმოდგენილი ცხოველის თითოეული ტვირთის აქართველოში ტრანზიტის ან იმპორტისას.

2. ვეტერინარული სერტიფიკატი უნდა ადასტურებდეს, რომ ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნები ან სადაც შესაძლებელია, ამ წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ეკვივალენტური მოთხოვნები სრულდება.

3. ვეტერინარული სერტიფიკატი შესაძლოა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან, ცხოველთა ჯანმრთელობასთან და ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვეტერინარული სერტიფიკატის გამოყენების შეჩერება ან გაუქმება შესაძლებელია მოხდეს როდესაც

ავტორიზებულ ქვეყანაში ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობით საბუთდება შეჩერების ან გაუქმების საჭიროება.

მუხლი 12. ინსპექტირება სხვა ქვეყანაში

1. ინსპექტირება შესაძლებელია ჩატარდეს სხვა ქვეყანაში საქართველოს უფლებამოსილი პირების მიერ, ცხოველთა ჯანმრთელობის წესებთან შესაბამისობის ან ეკვივალენტობის დადასტურების შესამოწმებლად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირება ხორციელდება საქართველოს სახელით და გაწეული ხარჯები ნაზღაურდება საქართველოს მიერ.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჩატარების პროცედურა სხვა ქვეყანაში შესაძლებელია დადგინდეს ან შესწორდეს სააგენტოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ინსპექტირებისას იდენტიფიცირებულია ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული რისკი, თუნდაც ის პირდაპირ არ უკავშირდებოდეს ინსპექტირების მიზნებს, სააგენტომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ამ წესის მე-13 მუხლით განსაზღვრული ცხოველთა ჯანმრთელობის დამცავი ზომები, მათ შორის ამ წესის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ავტორიზაციის შეჩერება ან გაუქმება.

მუხლი 13. დამცავი ზომები

1. იმ შემთხვევაში თუ ,,სპეციალურ მოთხოვნებს დაქვემდებარებული პროდუქტებით ვაჭრობისა და იმპორტისას საზოგადოებრივ და ცხოველთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბერის №595 დადგენილებით განსაზღვრული შეტყობინებას დაქვემდებარებულ დაავადებას, ზოონოზს ან სხვა დაავადებას ან მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია სერიოზული რისკი შექმნას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისათვის, ადგილი ჰქონდა ან გავრცელდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ან თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რაიმე მიზეზი ამ ზომებს ამართლებს, განსაკუთრებით კი ვეტერინარი უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული მოკვლევის შედეგები, სააგენტოს შეუძლია თავისი ინიციატივის საფუძველზე ან

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) მომართვის საფუძველზე მიიღოს დაუყოვნებლივ ერთ-ერთი შემდეგი ზომა სიტუაციის სიმძიმის შესაბამისად:

ა) შეაჩეროს იმპორტი სხვა ქვეყნიდან ან მისი ნაწილიდან და სადაც შესაძლებელია ტრანზიტი სხვა ქვეყნიდან;

ბ) შეიმუშავოს სპეციფიკური პირობები სხვა ქვეყნიდან ან სხვა ქვეყნის ნაწილიდან მომავალ ცხოველებთან დაკავშირებით, მათ შორის ეს შეიძლება იყოს დროებითი ზომა.

2. თუ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული ვეტერინარული კონტროლი მიუთითებს, რომ ცხოველის ტვირთმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ცხოველისა ან ადამიანის ჯანმრთელობას, შემოსავლების სამსახურმა მაშინვე უნდა გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები და მაშინვე აცნობოს სასაზღვრო ინსპექციის სხვა პუნქტებს და სააგენტოს შედეგების შესახებ და ცხოველების წარმომავლობის შესახებ.

3. უფლებამოსილმა პირებმა შესაძლოა განახორციელონ დაუყოვნებლივი ვიზიტი შესაბამის სხვა ქვეყანაში.

დანართი N1

ცხოველთა სახეობები

ტაქსონომიური ერთეული		
რიგი	ოჯახი	სახეობა
წყვილჩლიქიანები	ფიწლისებრნი	*Antilocapra* ssp.
	ძროხისებრნი	*Addax* ssp., *Aepyceros* ssp., *Alcelaphus* ssp., *Ammodorcas* ssp., *Ammotragus* ssp., *Antidorcas* ssp., *Antilope* ssp., *Bison* ssp., *Bos* ssp.(მათ შორის *Bibos, Novibos, Poephagus*), *Boselaphus* ssp., *Bubalus* ssp. (მათ შორის *Anoa*), *Budorcas* ssp., *Capra* ssp., *Cephalophus* ssp., *Connochaetes* ssp., *Damaliscus* ssp.(მათ შორის *Beatragus*), *Dorcatragus* ssp., *Gazella* ssp., *Hemitragus* ssp., *Hippotragus* ssp., *Kobus* ssp., *Litocranius* ssp., *Madogua* ssp., *Naemorhedus* ssp. (მათ შორის *Nemorhaedus* და *Capricornis*), *Neotragus* ssp., *Oreamuos* ssp., *Oreotragus* ssp., *Oryx* ssp., *Ourebia* ssp., *Ovibos* ssp., *Ovis* ssp., *Patholops* ssp., *Pelea* ssp., *Procapra* ssp., *Pseudois* ssp., *Pseudoryx* ssp., *Raphicerus* ssp., *Redunca* ssp., *Rupicapra* ssp., *Saiga* ssp., *Sigmoceros-Alecelaphus* ssp., *Sylvicapra* ssp., *Syncerus* ssp., *Taurotragus* ssp., *Tetracerus* ssp., *Tragelaphus* ssp.(მათ შორის *Boocerus*).
	აქლემისებრნი	*Camelus* ssp., *Lama* ssp., *Vicugna* ssp

	ირმისებრნი	*Alces* ssp., *Axis-Hyelaphus* ssp., *Blastocerus* ssp., *Capreolus* ssp., *Cervus- Rucervus* ssp., *Dama* ssp., *Elaphurus* ssp., *Hippocamelus* ssp., *Hydropotes* ssp., *Mazama* ssp., *Megamuntiacus* ssp., *Muntiacus* ssp., *Odocoileus* ssp., *Ozotoceros* ssp., *Pudu* ssp., *Rangifer* ssp.
	ჟირაფისებრნი	*Giraffa* ssp., *Okapia* ssp
	ბეჰემოთისებრნი	*Hexaprotodon-Choeropsis* ssp., *Hippopotamus* ssp.
	მუშკი	*Moschus* ssp.
	ღორისებრნი	*Babyrousa* ssp., *Hylochoerus* ssp., *Phacochoerus* ssp., *Potamochoerus* ssp., *Sus* ssp.,
	გარეული ღორი	*Catagonus* ssp., *Pecari-Tayassu* ssp.
	ირმულასებრნი	*Hyemoschus* ssp., *Tragulus-Moschiola* ssp.
კენტჩლიქიანები	მარტორქისებრნი	*Ceratotherium* ssp., *Dicerorhinus* ssp., *Diceros* ssp., *Rhinoceros* ssp.
	ტაპირისებრნი	*Tapirus* ssp.
ხორთუმიანები	სპილოსებრნი	*Elephas* ssp., *Loxodonta* ssp.

დანართი N2

ამ წესის მე-4 მუხლის ,,ვ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაავადებები და ზოგადი საბაზისო კრიტერიუმები ამ წესის მე-7 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დაავადებისგან თავისუფალ ტერიტორიად მიჩნევისათვის

დაავადება	პირობები	ცხოველი
თურქული	დაავადების აფეთქების არ არსებობა, ვირუსული ინფექციის(*) მტკიცებულების არ არსებობა და ბოლო 12 თვის მანძილზე ვაქცინაციის არ ჩატარება	ყველა სახეობა
ვეზიკულარული სტომატიტი	ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არ ყოფილა დაავადების არც ერთი შემთხვევა	ყველა სახეობა
ღორის ვეზიკულარული დაავადება	ბოლო 24 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების არც ერთი შემთხვევა და არ ჩატარებულა ვაქცინაცია	ღორისებრთა ოჯახის სახეობები
მსხვილფეხა საქონლის ჭირი	ბოლო 12 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების შემთხვევა და არ	ყველა სახეობა

	ჩატარებულა ვაქცინაცია	
წვრილფეხა საქონლის ჭირი	ბოლო 12 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების არც ერთი შემთხვევა და არ ჩატარებულა ვაქცინაცია	ცხვრისა და თხის სახეობები
მსხვილფეხა საქონლის კონტაგიოზური პლევროპნევმონია	ბოლო 12 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების არც ერთი შემთხვევა და არ ჩატარებულა ვაქცინაცია	ძროხა
ნოდულარული დერმატიტი	ბოლო 36 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების არც ერთი შემთხვევა და არ ჩატარებულა ვაქცინაცია	ძროხა, ბიზონი და კამეჩი
რიფტის ველის ცხელება	ბოლო 12 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების შემთხვევა და არ ჩატარებულა ვაქცინაცია	ყველა სახეობა, გარდა ღორისებრთა ოჯახისა
ბლუთანგი (ლურჯი ენა)	ბოლო 24 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების არც ერთი შემთხვევა და არ ჩატარებულა	ყველა სახეობა, გარდა ძროხისა, ბიზონისა და კამეჩისა, ცხვრისებრთა და თხისებრთა და

	ვაქცინაცია, ასევე ხორციელდება Culicoides-პოპულაციაზე შესაბამისი კონტროლი	ღორისებრთა სახეობებისა
ცხვრისა და თხის ყვავილი	ბოლო 12 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების არც ერთი შემთხვევა და არ ჩატარებულა ვაქცინაცია	თხისებრთა და ცხვრისებრთა ოჯახის სახეობები
ღორის აფრიკული ცხელება	ბოლო 12 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების არც ერთი შემთხვევა	ღორისებრთა ოჯახის სახეობები
ღორის კლასიკური ჭირი (ცხელება)	ბოლო 12 თვის განმავლობაში არ დაფიქსირებულა დაავადების არც ერთი შემთხვევა და არ ჩატარებულა ვაქცინაცია	ღორისებრთა ოჯახის სახეობები
(*) OIE -ს სახელმძღვანელოს თავი 2.1.1- ის მიხედვით		

დანართი N3

ვეტერინარული სერტიფიკატთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ვეტერინარულ სერტიფიკატი, რომელიც უნდა ახლდეს ტვირთს გაიცემა გამგზავნი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ და უნდა იქნას ხელმოწერილი და დადასტურებული სახელმწიფო ბეჭდით. აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება სერტიფიკატის თითოეულ ფურცელზე, თუ ის შედგება ერთზე მეტი ფურცლისგან.

2. ვეტერინარული სერტიფიკატი უნდა იყოს შედგენილი დანიშნულების ქვეყნის სახელმწიფო ენაზე ან ენებზე, იქ სადაც ხორციელდება ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი ან უნდა ახლდეს ნოტარიულად დამტკიცებული თარგმანი.

3. ვეტერინარული სერტიფიკატის დედანი თან უნდა ახლდეს ტვირთს.

4. ვეტერინარული სერტიფიკატი უნდა მოიცავდეს:

ა) ცალკე ფურცელს;

ბ) ან ორ ან მეტ გვერდს, რომელიც არის ცალკე გვერდის ნაწილი და განუყოფელი ფურცელი;

გ) ან გვერდების თანმიმდევრობას, რომელიც დანომრილია რიგითობისა და გვერდების საერთო რაოდენობის მითითებით (მაგ. ოთხ გვერდიანი სერტიფიკატის მეორე გვერდი - 2/4).

5. ვეტერინარული სერტიფიკატი უნდა ატარებდეს უინკალურ საიდენტიფიკაციო ნომერს. იქ, სადაც ვეტერინარული სერტიფიკატი შედგება რამოდენიმე გვერდისაგან, თითოეულ გვერდზე უნდა იქნას მითითებული საიდენტიფიკაციო ნომერი.

6. ვეტერინარული სერტიფიკატი გაიცემა შესაბამისი ტვირთის გაგზავნამდე გამგზავნი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ.

განმარტებითი ბარათი

„საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტისთვის განკუთვნილი ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის ჯანმრთელობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტი ითვალისწინებს „საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტისთვის განკუთვნილი ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის ჯანმრთელობის წესის დამტკიცებას.

პროექტი განსაზღვრავს ჩლიქოსანი ცხოველების (ზოგიერთი წყვილჩლიქიანების, კენტჩლიანებისა და ზორთუმისებრის, რომელიც განსაზღვრულია წესის N1 დანართიტ) საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტის დროს ცხოველთა ჯანმრთელობის შესახებ მოთხოვნებს.

პროექტის თანახმად, ცოცხალი ჩლიქოსნების საქართველოში იმპორტისა და ტრანზიტისთვის, ეს ქვეყნები შესული უნდა იყოს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ განსაზღვრულ სიაში, რომლის შედგენის დროს სააგენტო ხელმძღვანელობს შესაბამისი კრიტერიუმებით, რაც მოცემულია წესის მე-4 მუხლში. ამასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვა ქვეყნიდან ცხოველებზე წარმოდგენილი გარანტიების გათვალისწინებით, შესაძლებელია მიღებული იქნეს გადაწყვეტილება, რომ ავტორიზაცია გავრცელდეს ავტორიზებული ქვეყნის მთლიან ტერიტორიაზე ან ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე. აღნიშნული მიზნით და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმაზე, თუ როგორ იყენებს და ნერგავს ავტორიზებული ქვეყანა ამ სტანდარტებს, კერძოდ საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში რეგიონალიზაციის პრინციპი და მისი სანიტარული მოთხოვნები სხვა ქვეყნიდან იმპორტისას.

ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტის ავტორიზაცია ან სააგენტოს გადაწყვეტილებით, ავტორიზაცია შესაძლებელია შეჩერებული ან გაუქმებული იქნას, თუ ავტორიზებულ ქვეყანაში ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ამართლებს ამგვარ ღონისძიებას. სააგენტო უზრუნველყოფს ავტორიზებული ქვეყნების სიის საჯაროობას.

პროექტი განსაზღვრავს ცოცხალი ჩლიქოსნების ჯანმრთელობის სპეციფიკურ მოთხოვნებს ავტორიზებული ქვეყნიდან იმპორტისა და ტრანზიტის დროს, ავტორიზებული ქვეყნიდან

ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტთან დაკავშირებულ გარანტიებსა და ამ გარანტიებთან დაკავშირებულ გამონაკლისებს.

პროექტის თანახმად, ცოცხალი ჩლიქოსნების იმპორტისა და ტრანზიტისთვის, ცხოველების თითოეულ ტვირთს, თან უნდა ახლდეს ვეტერინარული სერტიფიკატი, რომელიც უნდა ადასტურებდეს ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისობას ამ წესთან და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ცხოველთა ჯანმრთელობის წესებთან შესაბამისობის ან ეკვივალენტობის დადასტურების შესამოწმებლად, უფლებამოსილი პირების მიერ შეიძლება ჩატარდეს ინსპექტირება, რომლის ხარჯებსაც ანაზღაურებს სხვა ქვეყანა. იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირებისას მოხდება ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული რისკის იდენტიფიცირება, თუნდაც ის პირდაპირ არ უკავშირდებოდეს ინსპექტირების მიზნებს, სააგენტომ და შემოსავლების სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს განსაზღვრული ჯანმრთელობის დამცავი ზომები, რომელიც განსაზღვრულია წესის მე-13 მუხლში.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტის მომზადებულია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის - Council Directive 2004/68/EC of 26 April 2004 laying down animal health rules for the importation into and transit through the Community of certain live ungulate animals, amending Directives 90/426/EEC and 92/65/EEC and repealing Directive 72/462/EEC მოთხოვნათა შესაბამისად, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მიღებით უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში ზოგიერთი ცოცხალი ჩლიქოსანი ცხოველის იმპორტისა და ტრანზიტის დროს ცხოველთა ჯანმრთელობის წესების დაცვა, ცხოველთა კეთილდღეობა და საქართველოში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა.

პროექტის განხორციელების ვადები

პროექტი ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემო დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.